დასრულდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს XI გენერალური ასამბლეა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 08.09.2022. 31 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით გერმანის ქალაქ კარლსრუეში ჩატარდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს XI გენერალური ასამბლეა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას მეთაურობდა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, საპატრიარქო ეგზარქოსი დასავლეთ ევროპაში, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი.

დელეგაციის შემადგენლობაში ასევე შევიდნენ: საპატრიარქო ეგზარქოსი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სინგაპურისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიტროპოლიტი სერგი; საპატრიარქო ეგზარქოსი აფრიკაში, კლინის მიტროპოლიტი ლეონიდე; ასტანის ეპარქიის ვიკარი, კასკელენის ეპისკოპოსი გენადი; საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, არქიმანდრიტი ფილარეტი (ბულეკოვი); სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი დეკანოზი იგორ იაკიმჩუკი; რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი ეკლესიათა მსოფლიოს საბჭოზე და ჟენევის საერთაშორისო ორგანიზაციებში, დეკანოზი მიხეილ გუნდიაევი; სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მართლმადიდებლური წმინდა ტიხონის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის დოცენტი, დეკანოზი ვალენტინ ვასეჩკო; სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პრორექტორი სასწავლო დარგში, დეკანოზი ვლადიმერ ხულაპი; სსკგ-ის მდივანი ქრისტიანთა შორის ურთიერთობათა საკითხებში, მღვდელმონაზონი სტეფანე (იგუმნოვი); სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახურის უფროსი, მღვდელი ილია კოსიხი; მოსკოვის სასულიერო აკადემიის დოცენტი, მღვდელი ანტონი ბორისოვი; სსკგ-ის სანკტ-პეტერბურგის ფილიალის რეფერენტი, მღვდელი ვიაჩესლავ ზავალნი; სსკგ-ის თავმჯდომარის რეფერენტი, მღვდელი ალექსანდრე ერშოვი; სსკგ-ის ქრისტიანთაშორისო ურთიერთობების სამდივნოს თანამშრომელი, ბერდიაკონი პეტრე (ახმატხანოვი); სინოდალური განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე საზოგადოებასა და მედიასთან ეკლესიის ურთიერთობის საკითხებში ვ.ვ. ყიფშიძე; სსკგ-ის სამდივნოს თანამშრომლები ქრისტიანთაშორისო ურთიერთობებში მ.ბ. ნელიუბოვა და ს.ვ. ჩემპიონი; ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმინდანთა მეთოდესა და კირილეს სახ. თეოლოგიური ინსტიტუტის სასწავლო-მეთოდოლოგიური განყოფილების მეთოდისტი ე.ვ. ერტოში.

გახსნის ცერემონია 31 აგვისტოს კარლსრუეს კონგრეს-ცენტრში შედგა.

ასამბლეის სხდომებზე განხილულ საკითხებს შორის იყო – ქრისტიანული სოლიდარობა და ურთიერთდახმარება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ქრისტიანთა დევნის რეალობაში, წმინდა მიწაზე ქრისტიანთა მდგომარეობასთან დაკავშირებული ვითარებები, ევროპაში მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხები. განხილულ იქნა ასევე ეკონომიური და სოციალური უსამართლობის, რასიზმისა და ქსენოფობიის, ადამიანთა უფლებების დარღვევის პრობლემები თანამედროვე საზოგადოებაში. იყო მსჯელობა ასევე ეკოლოგიისა და COVID-19 პანდემიის შედეგებთან დაკავშირებით.

საერთო ჯამში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს XI გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობвф ორი ათასზე მეტი დელეგატი სხვადასხვა ქვეყნიდან და კონტინენტიდან.

ემს-ს ასამბლეის მუშაობის პირველი დღის დასრულების შემდეგ მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ თათბირი გამართა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის წევრებთან. მეუფემ მათ კეთილი სურვილები გადასცა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილესგან. დელეგაციის მეთაურმა დელეგატებს მოუწოდა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომიტეტების მუშაობაში, ასევე, მტკიცედ

გამოხატონ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია ყველა იმ საკითხთან მიმართებით, რასაც ასამბლეა წამოჭრის.

იგი ასევე **კომენტარებით გამოვიდა** გფრ-ის პრეზიდენტის ფ-ვ. შტაიმაინერის განხადებასთან დაკავშირებით, რომელმაც ფორუმის გახსნაზე თავის სიტყვაში ეჭვქვეშ დააყენა ასამბლეაზე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობის მიზანშეწონილობა.

1 სექტემბერს შედგა **ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელობის შეხვედრა მოსკოვის საპატრიარქოს დელეგაციასთან,** რომლის მსვლელლობაშიც ხაზგასმულ იქნა, რომ ემს უნდა რჩებოდეს ყველა ქრისტიანისთვის ღია სადიალოგო პლატფორმად, და რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება იყოს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რაიმენაირი იზოლაციის თაობაზე.

ასამბლეაზე შედგა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის შეხვედრები **ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარეს პატრიარქ იოანე X -თან, ინგლისის ეკლესიების მეთაურთან, კენტერბერიის მთავარეპისკოპოს ჯასტინ უელბთან, კოპტის ეკლესიის დელეგაციასთან, მსოფლიო ევანგელისტური ალიანსის გენერალურ მდივანთან ტ. შირმახერთან, ესტონეთის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის მთავარეპისკოპოს ურმას ვილმოსთან,** გარდა ამისა, შეხვედრები გაიმართა **რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის იერარქებთან** – ბერლინისა და გერმანიის მიტროპოლიტ მარკოზთან და შტუტგარდის ეპისკოპოს იობთან, ასევე **ბერლინ-გერმანიის ეპარქიის მმართველთან – მთავარეპისკოპოს ტიხონთან.**

8 სექტემბერს, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს XI გენერალურიმ ასამბლეის პლენარულ სხდომაზე, მიღებულ იქნა რიგი შემაჯამებელი დოკუმენტი, მათ შორის, ემს-ს შიდა მოწყობის შესახებ, ქრისტიანების წინაშე მდგარი გამოწვევების თეოლოგიური გააზრების შესახებ, ასევე ვითარებების შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში: ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში, კორეის ნახევაკუნძულზე, ოკეანეთსა და ევროპაში. აღნიშნეს რა XI გენერალური ასამბლეის მთავარი თემა „ქრისტეს სიყვარულს მიჰყავს მსოფლიო შერიგებისა და ერთობისკენ“, დელეგატებმა აღიარეს ემს-ს წევრებს შორის არსებული თეოლოგიური, კანონიკური და სხვა სახის განსხვავებები, თუმცა სურვილი გამოთქვეს, შემდგომშიც ერთობლივად იმოქმედონ ქრისტიანთაშორისო თანამშრომლობისა და მსოფლიოს წინაშე სახარებისეული სწავლების დამოწმების საქმეში.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის მეთაურმა **კომენტარი გააკეთა** ასამბლეის მიერ მიღებულ დოკუმენტზე – „ომი უკრაინაში, მშვიდობა და სამართლიანობა ევროპის რეგიონში“.